ქ-ნ მ. ქადეიშვილს
ბ-ნ დ. გოგიჩაიშვილს

გასაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

მ. ქათამაძე
23.05.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

გვსურს დავაზუსტოთ, ჩვენს მიერ 2018 წლის 8 მაისს გამოგზავნილი განცხადება, სადაც შპს "სუპერ ტვ" 2018 წლის07 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე ცალმხრივად ითხოვდა საოპერაციო აქტივების, მათ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF8 ლიცენზიის შპს "ტვ სარფზე" გადაპირებას. 2018 წლის 08 მაისის განცხადების ტექსტის შინაარსს ვტოვებთ უცვლელს, ხოლო განმცხადებელი გახლავთ ორივე მხარე ერთობლივად - შპს "სუპერ ტვ" და შპს "ტვ სარფი", განცხადების ქვემორე ხელმომწერნი.

შპს "სუპერ ტვ"

დირექტორი

ლაშა სილაგაძე ----------

400015201
"SUPER TV" LTD

შპს "ტვ სარფი"

დირექტორი

ვახტანგ კიწმარიშვილი ----------

TV SARPI
445459423
GEORGIA, "TV SARPI" LTD

შეკრულია № 7-6/2529-18
23 05 2018
1+1 ფურცელი

მინდობილობა

ქ.თბილისი
01.05.2018წ.

წინამდებარე მინდობილობის ძალით, შპს «ტვ სარფი» წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 10.03.2015წ, საიდენტიფიკაციო კოდი: 445459423, იურიდიული მისამართი: ბათუმი, ი.ნონეშვილის ქ.N16/20,ბN48) ვახტანგ კიწმარიშვილის სახით, დავით ძაგანიას (პირადი ნომერი 01011009375 დაბ.04.03.1967წ. მის: ქ.თბილისი, ბესარიონ ჟღენტის 5/ბN26) ანიჭებს უფლებას შპს "ტვ სარფის" სახელით, განახორციელოს შემდეგი ქმედებები: დაიცვას საზოგადოების უფლებები და ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის საერთო სასამართლოებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში, მათ შორის სსიპ "შემოსავლების სამსახურში", სააღსრულებო ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, (განახორციელოს კომპანიის სახელზე რეგისტრირებული იჯარის გაუქმება ნებისმიერ უძრავ ქონებაზე და/ან ახალი იჯარის რეგისტრაცია.შეიტანოს ან გამოითხოვოს განცხადებები, ხელი მოაწეროს დოკუმენტაციას და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება აღნიშნული უფლების განხორციელების ფარგლებში). საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში. ისარგებლოს საქართველოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მხარის ყველა უფლებით; მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული საპროცესო და საგადასახადო კოდექსებით, მათ შორის: შეიტანოს განცხადება, სარჩელი ან/და საჩივარი, შესაგებელი, ცნოს სარჩელი (საჩივარი) მთლიანად ან ნაწილობრივ, უარი თქვას სარჩელზე, (საჩივარზე), შეცვალოს სარჩელის (საჩივრის) საფუძველი ან/და საგანი, გაზარდოს ან/და შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გააფორმოს საგადასახადო შეთანხმება, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში ან/და სასამართლოში კანონით დადგენილი წესით, გადაიხადოს და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი სახაზინო სამსახურიდან, მიიღოს და აღსასრულებლად წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, გაეცნოს საქმის და ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ხელი მოაწეროს საქმის განხილვისათვის აუცილებელ შეთანხმებებს და ყველა სხვა საჭირო დოკუმენტს.

წინამდებარე მინდობილობით მას ასევე ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს შპს «სუპერ ტვ»-სა და შპს «ტვ სარფი»-ს შორის 2018 წლის 07 მაისის ხელშეკრულებას საოპერაციო აქტივების ნასყიდობის თაობაზე.

მინდობილობა მოქმედებს ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე (31.12.2018).

ვახტანგ კიწმარიშვილი ----------

TV SARPI
445459423
GEORGIA